საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა

ადგილობრივი თვითმმართველობა და განვითარების კვლევები

თბილისი
2017

პროგრამის სახელწოდება:
ადგილობრივი თვითმმართველობა და განვითარების კვლევები

ფაკულტეტი:
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

პროგრამის ხელმძღვანელი:

თამარ დოლბაია - ასოცირებული პროფესორი;

თეონა მატარაძე - ასისტენტ პროფესორი.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:
11 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები 1109 საჯარო მმართველობა
საჯარო მმართველობის მაგისტრი 1109

სწავლების საფეხური:
მაგისტრატურა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
120 ECTS

სწავლების ენა:
ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სამაგისტრო პროგრამაზე „**ადგილობრივი თვითმმართველობა და განვითარების კვლევები** " სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ინგლისური ენის ცოდნა B1.2 დონეზე (კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში B1.2-ის დონის შესაბამისი პროგრამით;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა (გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა;
- სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურაში შესვლისათვის;

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი პირობები:

- წერითი გამოცდა (არგუმენტირებული ესე ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საკითხებზე);
- გასაუბრება.

წერითი გამოცდის (ესეს) და გასაუბრებისთვის მოსამზადებელი ლიტერატურა ატვირთულია თსუ -ისა და ფაკულტეტის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები ირიცხებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია თსუ-ს სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის.

პროგრამის მიზნები:

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „**ადგილობრივი თვითმმართველობა და განვითარების კვლევები**“ მიზანია საფუძვლიანად და სიღრმისეულად შეასწავლოს მაგისტრებს: მდგრადი განვითარების არსი, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები; ბუნებისა და საზოგადოების ისეთი ურთიერთდამოკიდებულებები, რომელიც შეუნარჩუნებს შემდგომ თაობებს ბუნებრივი რესურსებით შეუქცევად უზრუნველყოფას; საყოველთაო გლობალიზაციიდან ლოკალიზაციისკენ გადასვლის მექანიზმები, რაც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე წარმოების, მოხმარებისა და გადაწყვეტილების მიღების ადგილობრივ მოთხოვნილებებსა და პირობებზე ორიენტირებას; მდგრადი განვითარების შედეგად მიღებული სიკეთეების სამართლიანად გადანაწილება; ადგილობრივ დონეზე მიმდინარე ცვლილებების ინიცირება მხარდაჭერის, კვლევის და შეფასების მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია და მაგისტრებს ამზადებს საჯარო და არასამთავრობო სექტორებში დასაქმებისთვის. პროგრამის ფარგლებში კომბინირებულია თეორიული, პრაქტიკული და კვლევის კომპონენტები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს გამოიმუშაონ ორგანიზაციების, ერთობებისა და მათთან დაკავშირებული პოლიტიკის დაგეგმვის, შესწავლის და ცვლილების უნარები, რომლებიც საზოგადოების შეუქცევად განვითარებას ემსახურება.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პროფესორ–მასწავლებლების კვალიფიკაცია და გამოცდილება ხელს შეუწყობს სტუდენტების დასავლური სტანდარტების მიხედვით მომზადებას.

სამაგისტრო პროგრამის ამოცანები და აქტუალობა:

ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტს ადგილობრივი თვითმმართველობის სფერო, განვითარების თეორიები და კვლევის მეთოდები, მომიჯნავე დისციპლინები; მისცეს სტუდენტს კომპლექსური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში; განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, გლობალური და ლოკალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; თეორიული განათლების პარალელურად, გამოუმუშავოს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობისა და განვითარების კვლევევბის კვალიფიკაციის მქონე მაგისტრისათვის. მოამზადოს სტუდენტი დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის სხვადასხვა მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მომზადებული სპეციალისტების ზოგადი ⍰⍰ დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

პროგრამის სტრუქტურა:

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტია, რომელიც შემდეგნაირად

არის გადანაწილებული:

სავალდებულო კურსები - 80 კრედიტი (ECTS)

არჩევითი კურსები - 30 კრედიტი (ECTS)

სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)

სავალდებულო სასწავლო კურსები მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალება, გააცნობიეროს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზები. შეძლოს: ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი /მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; კრიტიკული ანალიზისა და/ან ინოვაციური სინთეზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; აკადემიურ, თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალი დონე; ღირებულებებისადმი დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სავალდებულო სასწავლო კურსებში 10 კრედიტი ეთმობა ინგლისური ენის შესწავლას, 5 კრედიტი ეთმობა სასწავლო პრაქტიკას ადგილობრივი თვითმმართველობის ერთულებში.

სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) – ორიენტირებულია კვლევითი უნარების ჩამოყალიბებასა და პრეზენტაციის უნარების განვითარებაზე: სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ხდება ცოდნის გაღრმავება კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში, სამუშაო გეგმის შედგენა, საკვლევი თემის კვლევის მეთოდების შერჩევა, სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მოძიება და სათანადოდ დამუშავება, დასკვნების ჩამოყალიბება და საჯაროდ დაცვა, კვლევის მეთოდების შერჩევისა და მათი საშუალებით ემპირიული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბება. ვლინდება სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლა ორიენტირებულია სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაღრმავებაზე.

შენიშვნა: სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე პროგრამის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან იმუშაონ სტუდენტებთან ინდივიდუალურად.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

ღრმად და სისტემურად იცის:

- მდგრადი განვითარების არსებული ტენდენციები და პერსპექტივები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტები და განვითარების სოციალური და ეკონომიკური საფუძვლები;
- ურბანული პოლიტიკა, აგრარული და მიწის პოლიტიკა;

შეუძლია ორიგინალური იდეების შემუშავება, პროექტების შექმნა და განხორციელება მდგრადი განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის ირგვლივ.

აცნობიერებს:

- საზოგადოებების, ადგილობრივი ერთობებისა და ორგანიზაციების განვითარების, სასოფლო და საქალაქო დასახლებების ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია:

- ინოვაციური, ცვალებად და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;
- მდგრადი განვითარების სისტემების გლობალური და ლოკალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.
- მდგრადი განვითარების სისტემების გლობალური და ლოკალური ასპექტების ანალიზი;
- ადგილობრივი ერთობებისა და ორგანიზაციების პრობლემების მოგვარება ინოვაციური მიდგომების მეშვეობით;
- ადგილობრივი ინსტიტუტების, რესურებისა და საჭიროებების ანალიზი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების და მათთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
- განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებთან დაკავშირებული პროექტების ინიცირება, განხორციელება, შეფასება და გავლენის შესწავლა;
- განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის კვლევა, გაანალიზება და/ან განხორციელება;

დასკვნის უნარი

აქვს:

- მდგრადი განვითარების სისტემების პრობლემების კომპლექსური გაანალიზების და გადაჭრის, ინფორმაციის დამუშავებისა და კრიტიკული შეფასების, სოციალურ, ეკონომიკურ და ბუნებადაცვით საკითხებზე მსჯელობის, ამ საკითხების ვიზუალიზებისა და კონცეპტუალიზების უნარები;
- ადგილობრივი ერთობებისა და ორგანიზაციების განვითარების შესახებ საკუთარი მოსაზრებების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენის უნარი;
- ერთი და იგივე მოვლენის, ფენომენის თუ კონცეფციის სხვადასხვა (თეორიული თუ დარგობრივი) კუთხიდან დანახვის უნარი; პრობლემების გაანალიზების, ინფორმაციის შემადგენელ ნაწილებად დაშლის და დასმული ამოცანის (პრობლემის) შესაბამისი სინთეზის უნარი;
- საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის შედეგების თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია:

- საკუთარი და სხვისი აზრის მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- არსებული და ახალი ცოდნის ურთიერთმიმართების დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენა როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებასთან;
- მონაწილეობის მიღება განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებისადმი მიძღვნილ ადგილობრივ და საერთაშორისო დისკუსიებში.
- საკუთარი მოსაზრებების, თეორიული, თუ ემპირიული კვლევების შედეგების თანმიმდევრული და არგუმენტირებული გადმოცემა როგორც ზეპირად, ისე წერილობით;
- კვლევითი ნაშრომის და სხვადასხვა ტიპის პროექტის დაწერა აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისთვის ინტერპერსონალური კომპეტენციების გამოყენება;

სწავლის უნარი

აქვს:

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე განსხვავებული დავალებების დამოუკიდებლად შესრულების, არსებული სასწავლო და სამეცნიერო რესურსების გამოყენებით საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და ახალი იდეების განვითარების უნარი;
- მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაციის და კვლევის შედეგების გააზრებისა და ათვისების უნარი;
- საკუთარი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების სტრატეგიული დაგეგმვის უნარი;
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების უნარი;
- თვითგანვითარებაზე ორიენტირებისა და პროფესიული სრულყოფის გზების დამოუკიდებლად შემუშავების უნარი.

ღირებულებები

- იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს;
- პატივს სცემს საავტორო უფლებებს და უარყოფს პლაგიატს;
- აქვს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების და პატივისცემის უნარი;
- აქვს მდგრადი განვითარების შედეგად მიღებული კეთილდღეობის სამართლიანად გადანაწილებისა და თანასწორობის პრინციპების პატივისცემა;
- აქვს პასუხისმგებლობა სამართლიან და ნაყოფიერ სამყაროზე;
- აქვს პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევა გულისხმობს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას, რომელიც მოიცავს პროგრამის თითოეულ კომპონენტში დატვირთვის სხვადასხვა სახეებს (ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მეცადინეობა და სხვ.) მისი თავისებურებიდან გამომდინარე. თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოიყენება სწავლების ის მეთოდები და ხერხები, რაც განაპირობებს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, მათი ერთობლიობა კი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობით შექმნილია სამაგისტრო პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიანი მეთოდოლოგია.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

ახსნა-განმარტებითი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიიღწევა ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია;

ინდუქციური - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. ეს ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ცოდნის უნარების გამომუშავებას;

დედუქციური - სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. აღნიშნულით მიიღწევა ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ცოდნის უნარები;

ანალიზის - სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. აღნიშნული მეთოდით მიიღწევა ანალიტიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და დასკვნების გამოტანის უნარი;

სინთეზის - სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

დისკუსია/დებატების - ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, რომლის შედეგადაც მიიღწევა არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;

ჯგუფური მუშაობის - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება სტუდენტებს გამოუმუშავებთ ჯგუფში მუშობის უნარ-ჩვევებს, კომუნიკაციის უნარს;

შემთხვევის ანალიზის (Case study) - მეთოდი, როდესაც პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს, რაც ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას;

გონებრივი იერიშის (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. ამ დროს სტუდენტებს უმუშავდებათ ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ღირებულებებისა და მყისიერი გადაწყვეტილებების მიღების უნარები;

წერითი მუშაობის მეთოდი - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ესსეს შესრულება და ა. შ.

პრეზენტაციის მომზადება - აღნიშნული მეთოდი (ვიზუალური, ვერბალური) გამოიყენება, რათა მრავალმხრივ, ეფექტურად და თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს დამუშავებული თუ წინასწარ შესრულებული მასალა. ამ გზით სტუდენტებს გამოუმუშავდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. იგი ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ცოდნა-გაცნობიერებისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას;

როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. აღნიშნული საუკეთესო მეთოდია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ცვლილებების პირობებში გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების, გუნდური მუშაობის, გუნდის წევრებს შორის ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების შესაძენად;

ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანების ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ამ მეთოდის საშუალებით მიიღწევა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გამოტანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

თანამშრომლობითი სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;

შენიშვნა: სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებს ლექტორი თვითონ ირჩევს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N3 2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.)

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება ითვალისწინებს:

- **აქტივობის შეფასებას;**
- **შუალედური გამოცდის/გამოცდების შეფასებებს;**
- **დასკვნითი გამოცდის შეფასებას.**

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის საბოლოო შეფასება ხდება აქტივობის შეფასების, შუალედური შეფასების/შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

სტუდენტს უფლება ეძლევა გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ

ა) აქტივობის შეფასების და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამით (მაქსიმალური შეფასება 70 ქულა) დაგროვებული აქვს არანაკლებ 40 % (28 ქულა);

ბ) აქტივობის შეფასების და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამით (მაქსიმალური შეფასება 60 ქულა) დაგროვებული აქვს არანაკლებ 35% (21 ქულა);

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე დააგროვა დასკვნითი გამოცდის შეფასების 50 პროცენტი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს;
შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით.
დასკვნითი გამოცდა ტარდება წერითი/ზეპირი/ტესტური ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.
სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

შენიშვნა: სალექციო კურსის თემები და სამუშაო ჯგუფში მუშაობის თემატიკა შესაძლოა ერთნაირი იყოს. სალექციო კურსის მოსმენის შემდეგ, იმავე თემაზე ჯგუფში მუშაობას პრაქტიკული შედეგი აქვს და სტუდენტები ადვილად იგებენ და ითვისებენ შესასწავლ მასალას.

დასაქმების სფეროები:
სამაგისტრო პროგრამის მიზნები და შედეგები ორიენტირებულია შრომისა და დასაქმების თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებზე. პროგრამის დასაქმების სფერო მრავალფეროვანია. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციასა და სხვადასხვა ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულში (სამინისტროები და სხვა საჯარო სამსახურები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები და სხვ.).

სწავლის გაგრძელების საშუალება:
კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სოციალურ და ინტერდისციპლინურ მეცნიერებათა პროფილით, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:
პროგრამა ხორციელდება თსუ-ს ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით. ფუნქციონირებს: ბიბლიოთეკა (სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები), კომპიუტერული რესურს–ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით).

პროგრამის ადამიანური რესურსები:
პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.

N	სახელი და გვარი	პოზიცია	ხარისხი
1	თამარ დოლბაია	ასოცირებული პროფესორი	საზოგადოებივი გეოგრაფიის დოქტორი
2	რევაზ ჯორბენაძე	პროფესორი	ფსიქოლოგიის დოქტორი
3	იოსებ სალუქვაძე	პროფესორი	გეოგრაფიის დოქტორი
4	თეონა მატარაძე	ასისტენტ პროფესორი	ფილოსოფიის დოქტორი
5	ვასილ კიკუტაძე	თსუ, ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
6	მარინა ნაცვალაძე	თსუ, ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
7	ქეთევან ცხადაძე	თსუ, ასოცირებული პროფესორი	სამართლის დოქტორი
8	ქეთევან მარშავა	თსუ, პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
9	ეთერ ხარაიშვილი	თსუ, პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
10	ხათუნა ბარბაქაძე	თსუ, ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
11	ვალერი არღუთაშვილი	თსუ, ასისტენტ პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
12	გიორგი შუბითიძე	მოწვეული ლექტორი	თსუ, დოქტორანტი
13	ჯაბა უროტაძე	მოწვეული ლექტორი	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
14	თამარ ვეფხვაძე	მოწვეული ლექტორი	ფილოლოგიის დოქტორი
15	ია გელაშვილი	მოწვეული ლექტორი	განათლების მაგისტრი
16	მარინა მუსხელიშვილი	მოწვეული ლექტორი	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
17	ვალერიან მელიქიძე	თსუ, ასოცირებული პროფესორი	გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი
18.	გიორგი გაფრინდაშვილი	თსუ, ასისტენტ პროფესორი	ეკონომიკის დოქტორი
19	ზურაბ დავითაშვილი	თსუ, პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროგრამის სტრუქტურა

	საფაკულტეტო კურსები/მოდულები 120კრედიტი (ECTS)											
	საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 110 კრედიტი (ECTS)											
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკული	მუალედური და დასკვნითი გამოცდები			I	II	III	IV	
1	მდგრადი განვითარების სოციალურ–ეკონომიკური ასპექტები	5	30	15	5	75	წინაპირობა არ აქვს					თამარ დოლბაია
2	საზოგადოების განვითარება და ბუნებრივი გარემო	5	15	15	5	90	წინაპირობა არ აქვს					ვალერიან მელიქიძე

3	განვითარება და სოციალური პოლიტიკა	5	30	15	5	75	წინაპირობა არ აქვს					ჯაბა ურუტაძე
4	მიწის პოლიტიკა და მიწის ადმინისტრირება	5	30	15	5	75	წინაპირობა არ აქვს					სოსო სალუქვაძე
5	ინგლისური ენა B2	5	30	45	5	45	წინაპირობა არ აქვს					ია გელაშვილი
6	განვითარების პოლიტიკური თეორიები	5	15	15	5	90	მდგრადი განვითარების სოციალურ–ეკონომიკური ასპექტები					გიორგი შუბითიძე
7	ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა	5	30	30	5	60	წინაპირობა არ აქვს					მარინა ნაცვალაძე
8	სამართალი და სახელმწიფო ხელისუფლება	5	15	15	5	90	წინაპირობა არ აქვს					ქეთევან ცხადაძე
9	კვლევის მეთოდები	5	30	15	5	75	წინაპირობა არ აქვს					თეონა მატარაძე
10	თანამედროვე მენეჯმენტი	5	15	15	5	90	წინაპირობა არ აქვს					ვასილ კიკუტაძე
11	სპეციალური ინგლისური	5	30	45	5	45	ინგლისური ენა B2					ია გელაშვილი
12	ადგილობრივი მმართველობა	5	15	15	5	90	განვითარების პოლიტიკური თეორიები					გიორგი შუბითიძე
13	პროექტის მართვა	5	15	30	5	75	თანამედროვე მენეჯმენტი					თეონა მატარაძე
14	აგრარული ეკონომიკა	5	15	15	5	90	ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა					ეთერ ხარაიშვილი
15	ტურიზმი და რეგიონული განვითარება	5	15	30	5	75	წინაპირობა არ აქვს					ვალერი არღუთაშვილი
16	პრაქტიკა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიზაციებში	5	15	15	3	62	პროექტის მართვა					თამარ დოლბაია
17	**სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS) (წინაპირობა სავალდებულო საგნების გავლა)**											
	საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - 10 კრედიტი (ECTS)											
18	საჯარო ფინანსები	5	15	15	5	90	ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა					ხათუნა ბარბაქაძე

19	აკადემიური წერა და კომუნიკაციის ხელოვნება	5	15	30	6	74	წინაპირობა არ აქვს					თამარ ვეფხვაძე
20	რეგიონული და მუნიციპალური მართვის სტატისტიკა	5	15	15	5	90	წინაპირობა არ აქვს					ქეთევან მარშავა, გიორგი მარშავა
21	მოლაპარაკების და ფასილიტაციის პროცესი	5	15	30	5	75	წინაპირობა არ აქვს					რევაზ ჯორბენაძე
22	ადმინისტრაციული წარმოების თავისებურებანი	5	15	15	5	90	წინაპირობა არ აქვს					ქეთევან ცხადაძე
23	დემოკრატია და ადგილობრივი თვითმართველობა	5	15	15	5	90	წინაპირობა არ აქვს					მარინა მუსხელიშვილი
24	გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები (დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	15	15	5	90	წინაპირობა არ აქვს					ზურაბ დავითაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი